სახელმძღვანელო დოკუმენტი № 2
ადამიანების შერჩევა გასაუბრებისთვის პრევენციული დაკავების მონიტორინგის კონტექსტში

მისი შექმნის დღიდან (1977 წელი) წამების საწინააღმდეგო ასოციაცია (APT) ახორციელებს დაკავების რეგულარულ და დამოუკიდებელ მონიტორინგს როგორც წამების, არაადამიანური მოპყრობის და ადამიანის უფლებათა სხვაგვარად დარღვევის თავიდან აცილების ეფექტიან საშულებას. *დაკავების მონიტორინგის სახელმძღვანელო დოკუმენტების* წინამდებარე სერია ხელმისაწვდომს ხდის წამების საწინააღმდეგო ასოციაციის ნოვატორულ კვლევებსა და ანალიზს და ჩვენი პარტნიორების საუკეთესო პრაქტიკას პრაქტიკოსებისთვის სახელმწიფო და საერთაშორისო დონეებზე მთელს მსოფლიოში. მისი მიზანია წამების საწინააღმდეგო ასიციაციის პუბლიკაციაში „დაკავების ადგილების მონიტორინგი: პრაქტიკული სახელმძღვანელო“ შემოტანილი ელემენტების უფრო დეტალური განხილვა.

სათანადო რეაგირება, შენიშვნები და წინადადებები ზემოხსენებული სერიის შინაარსთან დაკავშირებით შეგიძლიათ გამოგზავნოთ მისამართზე apt@apt.ch

2009 წლის აპრილი

1. როგორ გამოვიყენოთ წინამდებარე დოკუმენტი

ეს დოკუმენტი განკუთვნილია ნებისმიერი ორგანიზაციისთვის, რომელიც ახორციელებს ვიზიტებს დაკავების ადგილებში (ან გეგმავს მათ განხორციელებას) წამების და სხვა არაადამიანური მოპყრობის შემთხვევების პრევენციის მიზნით. მისი გამოყენება საჭიროა მონიტორინგის მთლიანი სტრატეგიის ჩამოყალიბების ან მოდიფიცირების ეტაპზე ან ინტერვიუს სტრატეგიის საინფორმაციო საფუძვლის სახით კონკრეტულ ვიზიტამდე. დოკუმენტი მიმართულია ინტერვიუსთვის თავისუფლებააღკვეთილი ადამიანების შერჩევისკენ. როგორც ყოველთვის, იგი არ მიუთითებს რაიმე დადგენილ გზებს, არამედ გვიჩვენებს სხვადასხვა ვარიანტს და საკითხებს, რომლებიც შეიძლება გაითვალისწინონ მონიტორინგის განმახორციელებლებმა თავიანთი მუშაობის გასაუმჯობესებლად. ინტერვიუს წარმართვისთვის სახელმძღვანელოდ იხილეთ „დაკავების ადგილების მონიტორინგი: პრაქტიკული სახელმძღვანელო“.

2. საწყისი მოსაზრებები

ინდივიდუალური, პირადი ინტერვიუ თავისუფლებააღკვეთილ ადამიანებთან წარმოადგენს პრევენციული მონიტორინგის ვიზიტის ფუნდამენტურ ნაწილს. ის იძლევა ინფორმაციას „პირველი ხელიდან“ და აძლევს ადამიანებს მათი საკუთრი გამოცდილების გამოხატვის საშუალებას. ასეთი ინტერვიუები ყურადღებას ამახვილებს ანალიტიკური მოზაიკის სწორედ იმ ნაწილებზე, რომელთა თავმოყრასაც ცდილობენ მონიტორები. ინტერვიუმ ასევე შეიძლება გამოკვეთოს და ახსნას ის სისტემატური დარღვევები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ადამიანის უფლებების დაცვაზე დაკავების ადგილებში.

ეფექტიანი პრევენციული მონიტორინგისთვის აუცილებელია დაკავებული პირების საკმაო რაოდენობასთან გასაუბრება. მონიტორინგის განმახორციელებელ ზოგიერთ ორგანიზაციას მიაჩნია, რომ დაკავების ნებისმიერ ადგილას დაკავებულთა 5%, 10% და თუნდაც 20%-თან გასაუბრება ნათელ სურათ შეუქმნის. გასაუბრების ჩატარება არ არის ადვილი. ბევრ შემთხვევაში ერთ დაწესებულებაში შეიძლება დაკავებული იყოს ასობით და ათასობით ადამიანი. ამ დროს მონიტორებს უხდებათ რთული გადაწყვეტილებების მიღება იმისათვის, რომ რაც შეიძლება ნაყოფიერად გამოიყენონ საკუთარი შეზღუდული ადამიანური, მატერიალური თუ დროის რესურსები. აქედან გამომდინარე, ინტერვიუებისთვის აუცილებელია სტრატეგია.

შერჩევის რაიმე კონკრეტული სტრატეგიების დადგენამდე სასარგებლოა უფრო ფართო პოლიტიკის შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

გუნდის ზომა

მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციის რესურსების და დაკავების მოსანახულებელი ადგილის სიდიდის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია მონიტორინგის განმახორციელებელი გუნდის წევრთა რაოდენობის მაქსიმუმამდე აყვანა. ეს მათ აძლევს დაყოფის და პარალელური მუშაობის საშუალებას. ამ გზით გაცილებით მეტი ინტერვიუს ჩატარება შეიძლება დროის კონკრეტულ მონაკვეთში.

გასაუბრება ინდივიდუალურად ან წყვილებში

მონიტორინგის განმახორციელებელი მრავალი ორგანიზაცია უპირატესობას ანიჭებს თითოეულ ინტერვიუზე ორი მონიტორის მუშაობას – ერთი წარმართავს გასაუბრებას, მეორე კი იწერს მის მიმდინარეობას. ასეთ ხერხს აშკარა უპირატესობა აქვს. თუმცა ზოგიერთი ორგანიზაცია თითო მონიტორს უშვებს ინტერვიუზე მისი დიდი გამოცდილების იმედად. ამ დროს უფრო მეტი ინტერვიუს ჩატარება შეიძლება ერთსა და იმავე დროს. ეს ასევე უფრო მეტ სიმშვიდეს ანიჭებს დაკავებულს, იგი უფრო მეტად იხსნება მოსაუბრესთან. მიუხედავად ამისა, ამ მეთოდს უარყოფითი მხარეც ახლავს – ინტერვიუს აკლია თანმიმდევრულობა, სრულყოფილება, ობიექტურობა და უსაფრთხოება.

ვიზიტის ხანგრძლივობა

მხედველობაში უნდა იქნეს ასევე მიღებული მონიტორინგის მიზნით ორგანიზებული ვიზიტის დროის გახანგრძლივება. ეს იძლევა უფრო მეტ დროს გასაუბრებებისთვის და ვიზიტის სხვადასხვა ასპექტისთვის. სიღრმისეული ვიზიტების შემთხვევაში, როცა გულდასმით მოწმდება დაკავებასთან დაკავშირებული ყველა ასპექტი, ზოგიერთი დაწესებულება და ორგანიზაცია ატარებს ოთხ დღემდე ხანგრძლივობის ვიზიტებს დაკავების დიდ ცენტრებში. ამგვარ ინსპექტირებებს ანაცვლებს უფრო ხანმოკლე, ფოკუსირებული შეხვედრები.

ვიზიტების სიხშირე

შემდეგ ალტერნატივას წარმოადგენს უფრო ხანმოკლე, მაგრამ ხშირი ვიზიტები. ამის განხორციელება ადვილია, როცა შესამოწმებელი დაწესებულება ტერიტორიულად ახლოს მდებარეობს. ასეთ გარემოებებში მონიტორინგის განმახორციელებელი ჯგუფი ირჩევს მოსანახულებელი დაწესებულების რომელიმე ერთ ან რამდენიმე ნაწილს და გარკვეულ თემას ყოველი ვიზიტისას. ისინი ამგვარად ახერხებენ მთელი დაწესებულების კარგად შემოწმებას. უფრო ხშირ და გაუფრთხილებელ ვიზიტებს ასევე შეუძლია დამატებითი დადებითი შედეგის გამოღება და ადამიანის უფლებათა მიმართ უფრო მეტი ყურადღების გამოჩენის სურვილის გაღვიძება ხელისუფლებაში. გარდა ამისა, რეგულარული ვიზიტები ასევე იძლევა კარგ საშუალებას ცენტრალურ ხელისუფლებასთან, თანამშრომლებთან და თავისუფლებააღკვეთილ პირებთან ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის.

მოსამზადებელი ინფორმაცია

დიდი ყურადღებაა საჭირო ინფორმაციის საკმარისი რაოდენობით მოძიების და კარგად მომზადებისთვის ვიტის დაწყებამდე. ცენტრში მყოფი ადამიანების სიების, თანამშრომლების სიების მოპოვება მათ თანამდებობებთან ერთად, კლასიფიცირების და გამოყოფის სისტემების ცოდნა, დაწესებულების რუკის და ამგვარი მონაცემების შესწავლა მონიტორინგის განმახორციელებელ გუნდს აძლევს გასაუბრებისთვის ადამიანების უფრო კარგად შერჩევის და არსებული რესურების უკეთ გამოყენების საშუალებას.

3. დამატებითი მეთოდები პირადი ინტერვიუებისთვის

დაკავების პრევენციული მონიტორინგი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტორების დადგენასა და ანალიზზე, რომლებიც ხელს უწყობს (ან ვერ ახერხებს მის თავიდან აცილებას) წამებას, სხვა არაადამიანურ მოპყრობას და ადამიანის ღირსების სხვაგვარ შელახვას დაკავების განმავლობაში. მონიტორინგის მიზანია ამგვარი ფაქტორების შემცირება ან სრულიად აღმოფხვრა. იგი გვთავაზობს პრევენციულ ზომებს ინდივიდუალური საჩივრების და საქმეების

გარჩევის ნაცვლად. ამ კონტექსტში პირადი ინტერვიუ დაკავებულებთან კომბინირებული უნდა იქნეს სხვა ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზთან, მათ შორის არის მონიტორის პირადი ანალიზი; დოკუმენტებისა და ჟურნალების შემოწმება; გასაუბრება ხელმძღვანელობასთან და კანონების, დაწესებულების, წესებისა და პროცედურების ანალიზი. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ამდიდრებს შინაარსს და ფოკუსირდება პირად ინტერვიუებზე. მიზნობრივი ინტერვიუების დახმარებად შეიძლება ასევე განხილული იქნეს შემდეგი შესაძლებლობები:

წინასწარი კითხვარი

მონიტორინგის განმახორციელებელი ზოგიერთი ორგანიზაცია და დაწესებულება ვიზიტამდე იყენებს წინასწარ კითხვარებს. კითხვარი ურიგდება დაკავებული პირების წარმომადგენლობით რაოდენობას. კითხვარი ეხება მათ ინდივიდუალურ ხედვას და გამოცდილებას. ასეთ კითხვარებს შეუძლია მომავალი ვიზიტის თემის იდენტიფიცირება და ამ გზით იმ საკითხების რაოდენობის შემცირება, რომლებიც განხილული უნდა იქნეს პირადი ინტერვიუს დროს. ამ პროცესის განხორციელება დაკავშირებულია მრავალ სირთულესთან, როგორიცაა წერა-კითხვის ცოდნა, ანონიმურობის დაცვა და ზღვა ინფორმაციის დამუშავება. მიუხედავად ამისა, იგი წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც შეიძლება წარმატებით იქნეს ჩართული ზოგად მეთოდოლოგიაში გარკვეულ კონტექსტში, კერძოდ, დაკავების მცირე და საშუალო ზომების ცენტრებისათვის.

წინასწარი ვიზიტი

ვიზიტამდელი კითხვარების ალტერნატივას წარმოადგენს წინასწარი ვიზიტი. ეს გულისხმობს სწრაფ ტურს რამდენიმე დღით ან კვირით ადრე ძირითად ვიზიტამდე. მისი მიზანია წარმოდგენის შექმნა სიტუაციასთან დაკავშირებით და სტრატეგიის ჩამოყალიბება. ამგვარი ქმედების დადებით მხარეს წარმოადგენს ის, რომ ამ დროს არ მოითხოვება მთელი გუნდის მონაწილეობა, ვინაიდან მიზანი არ არის სრულყოფილი მონიტორინგი. გარდა ამისა, ამ ადრეულ ეტაპზე შეიძლება ჩატარდეს ცენტრის დირექტორთან ან ხელმძღვანელთან გაცნობის ვიზიტი. ეს შექმნის რაღაც დამოკიდებულებას - „გადებს ხიდს“ - და დაზოგავს დროს ძირითადი ვიზიტისას. სხვა გარემოებებში ვიზიტამდელი სტუმრობა ხელს უწყობს დაკავებულების მიმართ მონიტორინგით გამოწვეული პოტენციური რისკების სწრაფ შეფასებას. მაშინა, როცა ვიზიტამდელი ინსპექტირების გამოცხადება კარგია, მონიტორებს შეუძლიათ ამოირჩიონ, აცნობონ თუ არა ხელმძღვანელობას ძირითადი ვიზიტის დრო.

ჯგუფური ინტერვიუ

ჯგუფური ინტერვიუების სწრაფად მოწყობა მონიტორნგის დროს კარგი საშუალებაა ცენტრში არსებული სიტუაციის და ცენტრის მუშაობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისთვის. ამას შეუძლია პირადი ინტერვიუს დროს განსახილველი საკითხების რაოდენობის შემცირება, თუმცა არ უნდა შეცვალოს ისინი. ეს შეიძლება ერთადერთი ვარიანტი აღმოჩნდეს ისეთ შემთხვევაში, როცა მონიტორინგის განამახორციელებელი ორგანიზაცია აღმოაჩენს, რომ პირადი ინტერვიუს ჩატარება სრულიად *შეუძლებელია.* ამ ჯგუფებთან მთელი ჩამონათვალის საკითხების გავლა ვიზიტის დასაწყისში ძალიან გამოსადეგია თემების, სისტემების, ინციდენტებისა თუ ადამიანების უფრო ახლოს გაცნობისთვის. სიფრთხილეა საჭირო მგრძნობიარე საკითხების მიმართ, როგორიცაა დაკავებულების მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულები, ძალადობა, დაშინება ან სქესობრივი ძალადობა ერთმანეთის მიმართ, თუმცა ამისათვის არ არსებობს რაიმე მკაცრი წესები. ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს ინფორმატორების რისკი. ჯგუფური ინტერვიუს პროცესი და მიზანი კარგად უნდა იქნეს განმარტებული თავიდანვე. გარდა ამისა, ისევე, როგორც პირადი ინტერვიუების დროს, აქაც უნდა აღინიშნოს ისეთი საკითხები, როგორიცაა კონფიდენციალურობა, ინფორმირებული თანხმობა და ინტერვიუში მონაწილეობისგან თავის შეკავება.

4. პირადი ინტერვიუსთვის ადამიანების შერჩევის სტრატეგია

ზოგადი პრევენციული ვიზიტისას (თემატური ვიზიტისგან განსხვავებით) გასაუბრების სტრატეგიის ჩამოყალიბების ძირითადი მიზანია იმის გარანტირება, რომ შეგროვებული ინფორმაცია *წარმოადგენს* ზოგად პირობებს და აღწერს სიტუაციებს, რომლებშიც ხვდებიან გარკვეული ჯგუფები და ინდივიდები, და მიუთითებს იმ კრიტიკულ საკითხებზე, რომლებიც საჭიროებს ყურადღებას. აღნიშნულის მიღწევის მიზნით შეიძლება გამოიყოს ინტერვიუს მონაწილეთა შერჩევის ოთხი ფართო კატეგორია. მეტი ეფექტიანობისთვის კარგია მათი კომბინირება:

1. სპეციალური შერჩევა
2. კრიტიკული საკითხების შერჩევა
3. წარმომადგენლობითი შერჩევა
4. შერჩევა „ყველაფერი ან არაფერი“

სპეციალურიშერჩევა

სპონტანური შერჩევა

გუნდს შეუძლია ინტერვიუში მონაწილეობისთვის ადამიანების სპონტანურად შერჩევა ვიზიტისას ინტუიციის ან დაკვირვების საფუძველზე. თუ რომელიმე შერჩეული ადამიანი უარს განაცხადებს, მას არავინ აიძულებს მონაწილეობას გასაუბრებაში. მიუხედავად ამისა, მონიტორებმა უნდა გამოიძიონ უარის მიზეზი და მოახდინონ მასზე სათანადო რეაგირება აღნიშნული ადამიანისთვის ზიანის მიუყენებლად. სპონტანურ შერჩევას ახლავს თავისი უარყოფითი მხარეც – ხელმძღვანელობამ, თანამშრომლებმა და დანარჩენმა დაკავებულებმა შეიძლება იფიქრონ, რომ კონკრეტული ადამიანები შერჩეული იქნა გარკვეული მიზეზის გამო, რამაც შეიძლება გაზარდოს წინააღმდეგობა. როგორც ასეთი, რისკი ნაკლებია, როცა დაწესებულების შემოვლისას მონიტორებს არ ახლავს ხელმძღვანელობა. მხოლოდ ეს მეთოდი არ უზრუნველყოფს მონიტორებს პერსპექტივათა რაიმე მნიშვნელოვანი ნიმუშით.

მოხალისეები

ზოგიერთმა დაკავებულმა ან დაკავებულთა ერთმა ჯგუფმა შეიძლება მოითხოვოს ინტერვიუზე გასვლა. ეს არ იძლევა საკმარისი ნიმუშის იმედს, თუმცა შეუძლია ისეთი სასარგებლო ინფორმაციის მოტანა, რასაც ვერ მოახერხებს წინასწარ დაგეგმილი შერჩევა. იმ დაკავებულებთან გასაუბრების დრო, რომლებმაც თვითონ მოითხოვეს პირადად გასაუბრება, ჩართული იქნება ვიზიტების დაგეგმვაში, თუმცა მონიტორები არ უნდა ეყრდნობოდნენ მხოლოდ მოხალისეებთან ინტერვიუებს.

ინტერვიუსთვის ხელმძღვანელობის მიერ შემოთავაზებული დაკავებული პირები

ხელმძღვანელობამ შეიძლება თავად ურჩიოს მონიტორებს, თუ რომელ დაკავებულს გაესაუბრონ. ჩვეულებრივ, ეს კანდიდატურები მიღებული უნდა იქნეს, თუმცა ინტერვიუები ისე უნდა წარიმართოს, რომ არ აიძულონ გუნდი, გადაუხვიოს თავის სტრატეგიას. თუ ამგვარი კანდიდატურების მიღება არ არის სასურველი, მაშინ მათზე თავაზიანად უნდა ითქვას უარი და მიზეზად მოყვანილი იქნეს მონიტორინგის გუნდის დადგენილი მოთხოვნები.

კრიტიკული საკითხების შერჩევა

წინასწარ დადგენილი საყურადღებო პირები

მონიტორინგის განმახორციელებელმა ორგანიზაციამ შეიძლება მიიღოს ინფორმაცია შესამოწმებელი დაკავების ადგილას განსაკუთრებით დაუცველი ინდივიდების ან ისეთი სპეციფიკური ინციდენტების არსებობის შესახებ, სადაც არსებობდა ადამიანის უფლებათა დარღვევის ეჭვი. მონიტორები ალბათ ისურვებენ ინტერვიუების ამ მიმართულებით წაყვანას. იქ, სადაც მონიტორები ისურვებენ წინასწარ დადგენილ პირებთან გასაუბრებას, ისინი აღნიშნულ ინტერვიუებამდე ან მათ შემდეგ ასევე უნდა გაესაუბრონ სხვა დაკავებულებსაც იმავე ხანგრძლივობით. პრევენციულ საკითხებზე მომუშავე მონიტორებს ასევე უნდა ახსოვდეთ, რომ *საგანგებო* შემთხვევებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოპოვების მიზანია სისტემატური პრობლემების გაგება. ინდივიდუალური საჩივრების მიმართვა იურიდიული

რჩევის მიღების, სასამართლო პროცესის გამართვის ან გაკრიტიკების მიზნით მკაფიოდ უნდა იქნეს გამოყოფილი მონიტორინგის პრევენციული ქმედებებისგან.[1]

ინფორმაცია ჟურნალებიდან და დაკომუნეტებიდან
მონიტორინგის დროს ჟურნალების და სხვა ადმინისტრაციული დოკუმენტების შემოწმებისას მონიტორინგის განმახორციელებელი ჯგუფი შეიძლება წააწყდეს რაიმე ანომალიებს ან საკითხებს, რომლებიც უნდ განიხილოს პირადი ინტერვიუების დროს. ის დაკავებულები, ვისაც ეს დოკუმენტები ეხება, ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო შეიძლება აღმოჩნდნენ.

რეტროსპექტიული გასაუბრება
მონიტორებმა შეიძლება ისურვონ გასაუბრება ისეთ ადამიანებთან, რომლებიც უკვე განთავისუფლდნენ მოცემული დაკავების ადგილიდან ან გადაყვანილნი იქნენ დაკავების სხვა დაწესებულებაში. ადამიანები ხშირად უფრო გულწრფელნი არიან მაშინ, როცა აღარ ეკუთვნიან რომელიმე მოცემულ დაწესებულებას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაკავების ისეთი ცენტრების შემთხვევაში, სადაც თავისუფლებააღკვეთილი ადამიანი იმყოფებოდა შედარებით მოკლე პერიოდის განმავლობაში ან სადაც მასთან ადგილზე გასაუბრება შეუძლებელი იყო. მონიტორებს ასევე უნდა ახსოვდეთ, რომ ტრანსპორტირების საშუალებები ასევე წარმოადგენს დაკავების ადგილებს, სადაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ადამიანების შეურაცხყოფას. გასაუბრების მსვლელობისას აუცილებელია ამ საკითხების გარკვევაც.

წარმომადგენლობითი შერჩევა

შემთხვევითი შერჩევა
ეფექტიანი პრევენციული მონიტორინგის მიზნით შერჩევის ზემოთ აღნიშნული სტრატეგიები უნდა დაემატოს მეთოდოლოგიას, რომლის დანიშნულებაა თავისუფლებააღკვეთილი ადამიანებისთვის არსებული პერსპექტივის წარმომადგენლობითი ნიმუშის მიღება. „შემთხვევითი“ ნიმუში შეიძლება შეირჩეს, მაგალითად, დაკავებულების ანბანის მიხედვით დალაგებული გვარებიდან მეორე ან ყოველ ასოზე პირველი ორი ან ყოველი მეათე ადამიანის შერჩევით. ზუსტი ფორმულა დამოკიდებულია დაკავებულების და გუნდის მიერ ჩასატარებელი ინტერვიუების რაოდენობაზე. აღნიშნული მეთოდოლოგია შეიძლება შეიცვალოს სხვადასხვა პრაქტიკული ფაქტორების მიხედვით. მის უარყოფით მხარეს წარმოადგენს ის, რომ ამ დროს ჩვეულებრივ საჭიროა ხელმძღვანელობისთვის იმ პირების ვინაობის შეტყობინება, რომლებთანაც აპირებენ გასაუბრებას მონიტორები.

გაუმჯობესებული შემთხვევითი შერჩევა
იმავე სისტემის უფრო დახვეწილ ვერსიას, რომელიც იძლევა უფრო დახვეწილ წარმომადგენლობით ნიმუშს და საჭიროებს მეტ მომზადებას, წარმოადგენს დაკავებულების ჟურნალიდან იმ პირების იდენტიფიცირება, რომლებიც მიეკუთვნებიან მონიტორინგის განმახორციელებელი ჯგუფის ინტერესის სტრატეგიულ კატეგორიებს. ამგვარი ჯგუფების მაგალითებია, სხვებს შორის, სამუდამო პატიმრობაში მყოფი ადამიანები, ახალგაზრდები, მოხუცები, პოლიტიკური პატიმრები, საპატიმროში ახლად მოთავსებული პირები, უმცირესობათა წარმომადგენლები და ისეთი სერიოზული დანაშაულებისთვის დაკავებული პირები, როგორიცაა ტერორიზმი. ამ ჯგუფების ხასიათის დადგენის შემდეგ მონიტორების ჯგუფს შეუძლია გადაწყვიტოს მათ შორის გასასაუბრებელი პირების რაოდენობა ან პროცენტულობა და ამოარჩიოს ისინი ზემოთ მოყვანილი შემთხვევითი შერჩევის მოდიფიცირებული ვერსიის მიხედვით. შერჩევის ეს მეთოდი ასევე გამოსადეგია საწყისი ჯგუფური ინტერვიუებისთვის კანდიდატების შერჩევისას.

როგორც უკვე აღინიშნა, საჭიროა ყველა ამ მეთოდოლოგიის კომბინირება პრევენციული მონიტორინგის ინტერვიუების უფრო ეფექტიანად ჩატარებისთვის.

შერჩევა „ყველაფერი ან არაფერი“

[1] იხ. წამების საწინააღმდეგო ასოციაციის მომავალი სახელმძღვანელო დოკუმენტები *„რას ნიშნავს პრევენცია?“* და *„რას ნიშნავს პრევენციული მონიტორინგი?“*

დაკავების ისეთ ადგილებთან დაკავშირებით, სადაც მოთავსებულია დაკავებულთა მცირე რაოდენობა, როგორიცაა, მაგალითად, პოლიციის განყოფილებები, მონიტორებმა უნდა აირჩიონ ან გასაუბრება ყველა დაკავებულთან, ან არავისთან. მათ თავი უნდა შეიკავონ გასაუბრებისგან ზოგიერთ მათგანთან, ვინაიდან მათთვის შეიძლება შურისძიების რისკი ძალიან მაღალი აღმოჩნდეს. მონიტორებს ასევე უნდა ახსოვდეთ, რომ არც კოლექტიური შურისძიება არ არის გამორიცხული. ამ გადაწყვეტილების მიღებაში ჯგუფს უნდა დაეხმაროს ჯგუფის წევრების გამოცდილება დაწესებულებასთან და მის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით, ასევე მისი უნარი, ჩაატაროს შემდეგი ვიზიტი.

5. საბოლოო აზრები გასაუბრების სტრატეგიასთან დაკავშირებით

ოფიციალური თუ არაოფიციალური

უნდა გვახსოვდეს, რომ არ არის აუცილებელი „გასაუბრებისთვის“ ოფიციალური ფორმის მინიჭება. ინფორმაციის მიღებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მონიტორინგის ჯგუფის წევრების თუ დაკავებულების მიერ წამოწყებულ უბრალო საუბრებს. მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ იმისთვის, რომ დაკავებულები ადვილად ესაუბრებოდნენ მათ, თუმცა არ უნდა დაავიწყდეთ საკუთარი უსაფრთხოებაც.

ზოგადი წინდახედულება

გარდა ამისა, პირადი ინტერვიუს დროს მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებისთანავე გუნდმა არ უნდა გაამჟღავნოს ან დააკონკრეტოს ფაქტი, ვიდრე მას არ ექნება გამოკითხული ადამიანისგან ნებართვა და არ ჩათვლის ამას სტრატეგილუად დროულად. გაუთვითცნობიერებელ ჟესტიკულაციას გაცილებით მეტის შეტყობინება შეუძლია, სწორედ ამიტომ დაწესებულებათა თანამშრომლები ხშირად შეისწავლიან ქცევებს, მათ შორის არავერბალურ ნიშნებს, და აკვირდებიან მონიტორინგის ჯგუფის წევრებს ვიზიტის დროს და მისი დასრულების შემდეგაც კი.

უფრო მეტიც, როდესაც მიღებულია მნიშვნელოვანი ინფორმაცია, საჭიროა, როცა კი შესაძლებელია და ადეკვატური წინდახედულებით, მისი დადასტურება შესაბამისი სიფრთხილით სხვა ინტერვიუების დროს. ერთი და იმავე ინფორმაციის სხვადასხვა წყაროდან შეტყობის ფაქტი გარკვეულ დაცვას სთავაზობს საწყის წყაროს, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს შეცდომის და კოლექტიური შურუსძიების შესაძლებლობა.

შურისძიება

აუცილებლად უნდა გამოიყოს ზოგადი სტრატეგიის ინტეგრირების საჭიროება შურისძიების პრევენციისთვის და დაკავებულების (და სხვათა) მიმართ რისკის მინიმუმამდე დაყვანისთვის, რაც ახლავს მონიტორინგთან დაკავშირებულ ინტერვიუებს. ამგვარი შურისძიებას ადგილი აქვს მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით დაკავების ცენტრებში, რაც უკვე წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დარღვევას. მონიტორინგის ჯგუფმა უნდა დაიცვას პრინციპი *„არ მიაყენო ზიანი“* ვიზიტამდე, ვიზიტის დროს და მას შემდეგ. როგორც აღინიშნა, „ვიზიტისწინა“ მეთოდოლოგია უზრუნველყოფს რისკების შეფასების და მათი მოწესრიგების შესაძლებლობას ვიზტამდეც კი. პასუხისმგებლობის მქონე მონიტორინგის ჯგუფი შეიძლება ვალდებული იყოს, მიიღოს გადაწყვეტილება, არ ჩაატაროს ინტერვიუ ისეთი გარემოებებისას, როცა შეიძლება ადგილი ჰქონდეს მიუღებელ და უკონტროლო რისკს.

გუნდმა ასევე უნდა უზრუნველყოს ინტერვიუს პოტენციური მონაწილეების მხრიდან შესაძლო რისკების და გარკვეული საკითხების კონფიდენციალურობის გათვითცნობიერება ინტერვიუს ყოველ საფეხურზე. ინტერვიუს მონაწილისგან აუცილებელია გაგება, აქვს თუ არა მას რაიმე ისეთი მიზეზი, რომლის გამოც იგი *არ* ისურვებდა ინტერვიუში მონაწილეობას. ასეთ შემთხვევში მათ შეუძლით საკუთარი თავისთვის საუკეთესო გადაწყვეტილების მიღება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ითანამშრომლონ მონიტორებთან.

6. დასკვნა

დაკავების პრევენციული მონიტორინგი მოითხოვს მონიტორებისგან იმაზე დაფიქრებას, თუ როგორ უნდა ამოარჩიონ თავისუფლებააღკვეთილი ადამიანებიდან ის პირი, რომელსაც ისინი გაესაუბრებიან. ეს ხელს შეუწყობს მონიტორინგის ეფექტიანობის გაზრდას შეზღუდული დროითი, ფინანსური და ადამიანური რესურსების პირობებში. ჩამოყალიბებული შერჩევის სტრატეგია მონიტორებს მისცემს რაც შეიძლება მეტი ჩაღრმავების საშუალებას როგორც ზოგად სიტუაციაში, ასევე დაუცველი ჯგუფების მდგომარეობაში. ზემოთ მოყვანილი მეთოდოლოგიების კომბინირება დიდ წვლილს შეიტანს ამ მიზნების მიღწევაში.

როგორც ყოველთვის, რაც უფრო მაღალია მონიტორინგის ვიზიტის დროს შეგროვებული ინფორმაციის ხარისხი, მით უკეთესია ანალიზი და ის სისტემური წინადადებები, რომლებიც შეიძლება ჩამოყალიბდეს. ეს კი ხელს უწყობს ფუნდამენტური ამოცანის შესრულებას – თავისუფლებააღკვეთილმა ადამიანებმა შეძლონ თავიანთი უფლებების გამოყენება, დაიცვან თავი წამებისგან და სხვა არაადამიანური მოპყრობისგან. გარდა ამისა, ეს ყველაფერი ზრდის პატივისცემას ადამიანის უფლებებისადმი დაკავების პირობებში.

წამების საწინააღმდეგო ასოციაცია - APT
რიუ დე ფერნი №10, საფოსტო ინდექსი: 2267-1211 ჟენევა 2, შვეიცარია
ტელ.: (+41 22) 919 2170 ფაქსი: (+41 22) 919 2180
ელ. ფოსტა: apt@apt.ch ინტერნეტი: www.apt.ch